

შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“

ევაკუაციის პროცედურები

- ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს;
- დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელი ვალდებულია გააღოს საევაკუაციო გასასვლელი და გააფრთხილოს შენობაში მყოფნი წარმოშობილი საფრთხის შესახებ;
- ხანძრის შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დაუყოვნებლივ დატოვება პანიკის გარეშე;
- აუცილებლად გაეცანით ევაკუაციის მარშრუტს (იხ. ევაკუაციის გეგმა);
- შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე უსაფრთხო ადგილზე, რათა დადგინდეს ის პირები, ვინც შენობაში დარჩნენ, მათ შესახებ აცნობეთ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელს ან საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს;
- ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ეს გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშვებას ევაკუაციის დროს;
- ერთი ადამიანი (ადმინისტრაციის თანამშრომელი, ლექტორი) უნდა დარჩეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, რომელიც დაეხმარება მას გასვლაში, მას შემდეგ, რაც სხვები დატოვებენ შენობას, სხვებმა კი მათი ადგილმდებარეობის შესახებ უნდა აცნობონ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს;
- ოთახებისა და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში დახურეთ ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
- პირადი ნივთები წაიღეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო გაძლევთ ამის საშუალებას;
- ევაკუაციის დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველამ გაიგონოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;
- თუ თქვენი გასასვლელი ჩახერგილია, განთავსდით შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადეთ დარეკოთ სხვებთან და აცნობოთ მათ თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდეთ მაშველებს;
- არ დაბრუნდეთ შენობაში, სანამ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელი არ მოგცემთ შესაბამის მითითებას;

- მას შემდეგ, რაც აღმოჩნდებით უსაფრთხო სიტუაციაში, დარეკეთ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში ნომერზე 112;

კოლეჯში ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები; კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრებით, სახანძრო ჰიდრანტი), რომლებიც განთავსებულია დერეფნებში და ბიბლიოთეკაში.